

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდა სპეციალობაში ტარდება წერიითი ფორმით და გულისხმობს განათლების საკითხებზე სხვადასხვა სახის დავალების შესრულებას. დადებით შეფასებად ჩაითვლება 51 ქულიანი ბარიერის გადალახვა.

საგამოცდო ბილეთი მოიცავს შემდეგ დავალებებს:

- სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურების დახასიათება - პრობლემებისა და პერსპექტივების ანალიზი - სულ 40 ქულა (თითოეული საფეხურის ანალიზი შეფასდება 10 ქულით);
- ესეი (განათლების ადმინისტრირების საკითხზე) - სულ 20 ქულა (2 ესეი, თითოეული შეფასდება 10 ქულით)
- განათლების შესახებ სტატიის ანალიზი - 10 ქულა
- პედაგოგიური სიტუაციის ანალიზი - სულ 20 ქულა (2 სიტუაცია, თითოეული შეფასდება 10 ქულით)
- ღია კითხვები - სულ 10 ქულა (10 კითხვა, თითოეული შეფასდება 1 ქულით)

თეორიული საკითხის (საფეხურის დახასიათების) შეფასების კრიტერიუმები:

- საკითხის ზოგადი ცოდნა - 0-5 ქულა;
- ლოგიკური დასკვნების გამოტანა - 0-2 ქულა;
- წერის კულტურა (ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ლექსიკური მარაგი) – 0-3 ქულა;

ესეის/სტატიის ანალიზის შეფასების კრიტერიუმები:

- ესეი-ს/სტატიის ძირითადი იდეის (მიზნის) ჩამოყალიბება - 0-2 ქულა;
- საკითხის ზოგადი ცოდნა, ორიგინალური ხედვა და თანმიმდევრული მსჯელობა – 0-3 ქულა;
- ლოგიკური დასკვნების გამოტანა - 0-1 ქულა;
- შინაარსის კორექტულობა - 0-1 ქულა;
- საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული და ფაქტობრივი გამყარება – 0-1 ქულა;
- წერის კულტურა (ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ლექსიკური მარაგი) – 0-2 ქულა;

პედაგოგიური სიტუაციის შეფასების კრიტერიუმები:

- პრობლემის დანახვა და გამოვლენილი პრობლემის ანალიზი - 0-5 ქულა;
- პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა და არგუმენტირებული დასაბუთება - 0-5 ქულა.

ღია კითხვის შეფასების კრიტერიუმები:

- პასუხი გაცემულია სწორად და ამომწურავად - 1 ქულა;
- პასუხი არასწორია ან საერთოდ არ არის გაცემული - 1 ქულა.

ძირითადი ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, 2016 წელი;
2. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, 2005 წ.
3. საქართველოს კანონი „უმალესი განათლების შესახებ“, 2005 წ;
4. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, 2007 წ.

დამხმარე ლიტერატურა:

1. მ. ჩანქსელიანი, თ. ნეფარიძე. სტატიები განათლების საკითხებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2011 წ.
2. სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2011 წ.
3. ქ. ჩაჩხიანი, შ. ტაბატაძე. სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა (გზამკვლევი სკოლების ადმინისტრაციისათვის), თბილისი, 2010 წ.
4. დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისათვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2011 წ.
5. ნ. ნიჭარაძე, ქ. მაკლეინი, ტ. ბოლი. სასწავლო და პროფესიული გარემო, თბილისი, 2008 წ.

სასარგებლო ვებგვერდები:

www.mes.gov.ge

www.tpdc.gov.ge

საკონტაქტო პირი:

ნანა მაკარაძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

ტელეფონი: (+995) 593 606071

ელ. ფოსტა: nmakaradze@bsu.edu.ge

გისურვებთ წარმატებებს!